1. * დამკვეთის ინფორმაციაში შეივსოს ორგანიზაციის ველებიც. * წარმოდგენილი იქნას მიწის ნაკვეთის მესაკუთრის - შპს თბილისი დრაი პორტის მიერ გაცემული მინდობილობა. ატვირთული მინდობილობა გაცემულია სხვა სუბიექტის - შპს თბილისი დრაი პორტ - ინვესტმენტის მიერ. * წარმოდგენილი იქნას საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული, სახელმწიფოსთან არსებული ვალდებულების საფუძვლები და საჭიროების შემთხვევაში, სსიპ - სახელწმიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობა. გაითვალისწინეთ, კალენდარული გრაფიკით გათვალისწინებული ვადა უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს. * ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N629 განაკრგულების მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, საჭიროა წარმოდგენილი იქნას ს/კ: 01.19.33.015.131 მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა.

დამატებელია განახლებული მინდობილობა.

2.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი. : გრგ-ს შესაბამისად დაიტანეთ განაშენიანების რეგულირების ხაზები

გენგეგმაზე დამატებულია განაშენიანების რეგულირების ხაზები.

3. ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : კოეფიციენტები ინაგარიშეთ რზ 2-ის გამოკლებით, მხოლოდ ს-1 ფართობის მიხედვით.

ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამატებულია ანგარიში რზ 2-ის ფართობის გამოკლებით, აღნიშნული ასევე დამატებით ნაჩვენებია ვექტორულ ფაილში.

4.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.: დამატებით წარმოადგენილ იქნას კედლებისა და სახურავის ფრაგმენტის ჭრილი, ენერგოეფექტურობის დეკლარაციის შესაბამისად, დეტალური შრეების ჩვენებითა და ექსპლიკაციის მითითებით.

ფასადების პდფ ფაილში დამატებულია აღნიშნული ფრაგმენტის ჭრილი.

5.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : წარმოადგინეთ ფუნქციების ანგარიში. ოფისები 25%ს არ უნდა გაცდეს.

ვექტორულ CAD ფაილში დამატებულია ფუნქციების ანგარიში, სადაც მოცემულია რომ ოფისები არ ცდება 25%-ს.

6. წარმოადგინეთ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. აღნიშნული კვლევის ანგარიშში მინიმუმ უნდა აისახოს: ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით; ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია; გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის. . წარმოადგინეთ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. ასევე წარმოდგენილი იქნას ექსპერტის კვალიფიკაციის დამადასტურებელი მონაცემები (გაითვალისწინეთ, რომ ექსპერტს უნდა გააჩნდეს სპეციალობით მუშაობის 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება).

აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია შეტყობინების შედეგათ.

7. დოკუმენტაცია დააკორექტირთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (წერილის ნომერი:MIA 3 24 00619664) დადგენილი ხარვეზების შესაბამისად

ატვირთულია დოკუმენტაცია ველში "დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილი", სახელით: 240318_ საგანგებოს დოკუმენტაცია

8. არქიტექტურული ნაწილების შესაბამისობა „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე “ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტთან. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.:: ვინაიდან წარმოდგენილი დეტალებითა და დეკლარაციით ხდება ექსტრუდირებული პოლისტირონის ქაფი (XPS)-ის გამოყენება, საჭიროა წარმოდგენილ იქნას მასალის სერთიფიკატი, ან წარმოდგენილ იქნას ექსპერტის შესაბამისი განმარტება აღნიშნულ მასალასთან დაკავშირებით 41 დადგენილების დასკვნაში.

41 დადგენილების დასკვნაში დამატებულია განმარტება აღნიშნულ მასალათან დაკავშირებით, განმარტება დამატებულია საექსპერტო დასკვნის მე-7 თავში - გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება.

9.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.: დამატებიოთ წარმოადგინეთ სრულყოფილი სამშენებლო გენგეგმა.

მშენებლობის ორგანიზების კალენდარულ გრაფიკში დამატებულია სრულყოფილი გენგეგმა და ატვირთულია შესაბამის ველში.

10. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი: საჭიროა გადაიხადოთ მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი საპროექტო კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის 8 -ზე ნამრავლის შესაბამისად. გაითვალისწინეთ: ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის (კ2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებელი შეადგენს II კლასის ობიექტებისთვის - 50 ლარს, III კლასის ობიექტებისთვის - 200 ლარს, IV კლასის ობიექტებისთვის - 400 ლარს (ფუნქციური ზონის მიუხედავად).

მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ატვირთულია ველში "არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი", სახელწოდებით: 240315_მოსაკრებელი. მოსაკრებელი დაანგარიშებულია შემდეგნაირად: 3990 x 8 (კ-2) + 1858 (ხაზოვანი) = 33778 ლარი.

11. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.: : წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევა არ შეიცავს ტექნიკურ დავალებას, გეოლოგიურ კვლევაში არ არის მითითებული რამდენი და რა სიგრძის გამონამუშევრები გაიყვანეს და რომელი დანადგარით, არ არის მითითებული რამდენი ნიმუში იქნა აღებული და სად მოხდა მათი გამოცდა, არ არის წარმოდგენილი ლითოლოგიური სვეტები და გეოლოგიური ჭრილები, არ არის წარმოდგენილი კრებსითი ცხრილი, საექსპერტო შეფასება მომზადებულია სხვა დოკუმენტის შესახებ, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული და ურთიერთ შესაბამისი დოკუმენტაცია მითითებულის გამოსწორებით.

აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია შეტყობინების შედეგათ.

12. წარმოსადგენია კონსტრუქციული პროექტი და მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კვლევის ანგარიში 20 მეტრის რადიუსით, მათი წარმოდგენის შემდგომ შესაძლებელი კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო შეფასების განხილვა.

კონსტრუქციული პროექტი ატვირთულია ველში "დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილი", სახელწოდებით: 240315_კონსტრუქციები გაერთიანებული. მომიჯნავე შენობა-ნაგებობის კვლევის ანგარიში ატვირთულია "ველში კონსტრუქციული დასკვნის pdf ფაილი", სახელწოდებით: 240314_საექსპერტო დასკვნა გავლენაზე.

თქვენი განცხადება გადაგზავნილია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში (წერილის ნომერი:60-01240592837) პოზიციის დასაფიქსირებლად, აღნიშნული პოზიციის მიღებამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. ზემოაღნიშნული უწყებიდან პასუხის მიღებისთანავე ეს პასუხი გეცნობებათ შეტყობინების სახით, რის შემდგომაც საჭიროა შემოაბრუნოთ განაცხადი განსახილველად.

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილის მიხედვით შესორებული დოკუმენტი ატვირთულია ველში " გამწვანების პროექტის pdf ფაილი", სახელწოდებით: 240315_ტაქსაცია-დენდროლოგია და მცენარეთა გადარგვის პროექტი_compressed.pdf. ფაილის ბოლო გვერდებზე არის წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია.